

დასაბრუნებელი მოწმობა წარმოადგენს უცხოეთიდან საქართველოში დასაბრუნებელ დროებით სამგზავრო დოკუმენტს, რომელიც გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ თქვენს სამგზავრო დოკუმენტს გაუვიდა მოქმედების ვადა, დაკარგეთ, დაგიზიანდათ ან არ ფლობთ მას.

არასრულწლოვანი პირისათვის საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

- არასრულწლოვანსა და ქმედუნარო პირზე დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის საკითხი განიხილება მათი კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე. ამასთან, არასრულწლოვანზე დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის საკითხის განხილვის დაწყებისათვის საკმარისია ერთ-ერთი მშობლის წერილობითი თანხმობა;
- საკონსულოში ვიზიტის დასანიშნად ან დასაბრუნებელი მოწმობის ფოსტით მისაღებად გთხოვთ მოახდინოთ ელექტრონული განაცხადის რეგისტრაცია. თუ გსურთ დასაბრუნებელი მოწმობის ფოსტით მიღება მომსახურების მიღების ფორმად მიუთითეთ "საფოსტო გზავნილი";
- **განცხადება-ანკეტა** (განცხადება-ანკეტა შევსებულ უნდა იქნას სრულყოფილად თითოეულ პუნქტში მითითებული კითხვის შესაბამისად და ხელმოწერილი კანონიერი წარმომადგენლის მიერ);
- საკონსულოში მშობლის გამოცხადების შემთხვევაში თანხმობა კეთდება ადგილზე საკონსულო თანამდებობის პირის თანდასწრებით (უფასოდ);
- ხოლო მშობლების გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეიძლება თანხმობა დამოწმდეს ადგილსამყოფელი ქვეყნის სანოტარო ბიუროში, დამოწმდეს აპოსტილით და ბემოაღნიშნულ დოკუმენტაციასთან ერთად გამოგზავნილ იქნას ფოსტის მეშვეობით;
- 1 ცალი პასპორტის ბომის ფოტოსურათი (ზომა 3X4 სმ);
- არასრულწლოვანის და მისი კანონიერი წარმომადგენლის პასპორტის ასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- არასრულწლოვანის დაბადების მოწმობის ასლი.

არასრულწლოვანი დასაბრუნებელი მოწმობის გაცემისას განთავისუფლებულია საკონსულო მოსაკრებლისაგან!

დასაბრუნებელი მოწმობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია შეგიძლიათ წარმოადგინოთ გენერალურ საკონსულოში პირადად ან გამოგზავნოთ ფოსტის მეშვეობით.

დოკუმენტების ფოსტით გამოგზავნის შემთხვევაში საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილ იქნას უკან გამოსაგზავნი საფოსტო კონვერტი თქვენს მიერ შევსებული უკანდასაბრუნებელი მისამართით და საჭირო ოდენობის საფოსტო მარკებით. გაითვალისწინეთ, რომ საფოსტო მომსახურების სარგებლობის შემთხვევაში, გაცემული დასაბრუნებელი მოწმობა დაგიბრუნდებათ მხოლოდ თქვენს მიერ გამოგზავნილ საფოსტო კონვერტით.